პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - **„საოფისე საქმე“** განხორციელება დაგეგმილია მოდულური სწავლების მიდგომით და მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, მოცულობა (მათ შორისო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების პერიოდი და დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია, არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები. თუმცა დაშვებულია ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, კერძოდ: მოდულის - **ღონისძიებაში ჩართულ მხარეებთან ურთიერთობა** მე-3 ნაწილში არ არის მოცემული საათები ჯამი, ხოლო საათების განაწილების სქემა (საკონტაქტო, დამოუკიდებელი, შეფასება) არ ემთხვევა სასწავლო გეგმაში მოცემულ განაწილებას. კერძოდ, მოდულში საკონტაქტო საათების (მათ შორის შეფასება) ჯამი არის 56 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები შეადგენს 19-ს. სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების ჯამი მოცემულია - 58. მოდულის საერთო მოცულობა არის 75 საათი, აღნიშნული მაჩვენებელი სწორადაა მოცემული სასწავლო გეგმაში; მოდულის - **კორესპონდენციის ორგანიზება** მე-3 ნაწილში მოცემული საათების განაწილების სქემა (საკონტაქტო, დამოუკიდებელი, შეფასება) არ ემთხვევა სასწავლო გეგმაში მოცემულ განაწილებას. კერძოდ, მოდულში საკონტაქტო საათების (მათ შორის შეფასება) ჯამი არის 48,5 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები შეადგენს 14-ს. სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების ჯამი მოცემულია - 49,5, ხოლო დამოუკიდებელი მეცადინეობსთვის დათმობილია 13 საათი. მოდულის საერთო მოცულობა არის 62,5 საათი, აღნიშნული მაჩვენებელი სწორადაა მოცემული სასწავლო გეგმაში; მოდულის - **მმართველობითი დოკუმენტების მომზადება** მე-3 ნაწილში მოცემული საათების განაწილების სქემა (საკონტაქტო, დამოუკიდებელი, შეფასება) არ ემთხვევა სასწავლო გეგმაში მოცემულ განაწილებას. კერძოდ, მოდულში საკონტაქტო საათების (მათ შორის შეფასება) ჯამი არის 63 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები შეადგენს 12-ს. სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების ჯამი მოცემულია - 61. მოდულის საერთო მოცულობა არის 75 საათი, აღნიშნული მაჩვენებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{თბილისი, 2019 წელი}*

სწორადაა მოცემული სასწავლო გეგმაში; მოდულის - **დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მომზადება** მე-3 ნაწილში მოცემული საათების განაწილების სქემა (საკონტაქტო, დამოუკიდებელი, შეფასება) არ ემთხვევა სასწავლო გეგმაში მოცემულ განაწილებას. კერძოდ, მოდულში საკონტაქტო საათების (მათ შორის შეფასება) ჯამი არის 95 საათი, ხოლო დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები შეადგენს 30-ს. სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათების ჯამი მოცემულია - 97. მოდულის საერთო მოცულობა არის 125 საათი, აღნიშნული მაჩვენებელი სწორადაა მოცემული სასწავლო გეგმაში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - **„ელექტროობა“**განხორციელება დაგეგმილია მოდულური სწავლების მიდგომით და მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, მოცულობა (მათ შორისო არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების პერიოდი და დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია, არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - **„დეკორატიული მებაღეობა“** განხორციელება დაგეგმილია დუალური სწავლების მიდგომით და მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, მოცულობა (მათ შორისო არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების პერიოდი და დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია, არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია დუალური სწავლის მიდგომის პრინციპების შესაბამისად და გამიჯნულია დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - **„შედუღება“** განხორციელება დაგეგმილია მოდულური სწავლების მიდგომით და მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, მოცულობა (მათ შორისო არაქართულ ენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა კვირაში არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოდულის სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების პერიოდი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია, არ იკითხება სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები.

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნიივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლბელო პროგრმებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-6 მუხლში განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვისა პროცედურა. ხოლო ამავე წესის მე-20 მუხლი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების პროცესს. რის მიხედვითაც, დაწესებულებაში ასეთი სსსმ/შშმ პირთა ჩარიცხვის შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს მათ თავისუფალ გადაადგილებას, გამართავს კონსულტაციებს მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და პროგრამის სწავლის შედეგების სრულფასოვნად ათვისებს მიზნით, ხელს შეუწყობს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელეთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 2 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ექსპერტთა გუნდის მიერ შევსებული ორივე პროფესიული სტუდენტის შეფასების ფორმა, სადაც დეტალურად იყო ასახული პროფესიულ სტუდენტთა მდგომარეობა და საჭიროებები. დაწესებულებას შემუშავებული არ ჰქონდა ინვიდუალური სასწავლო გეგმა, თუმცა პროფესიულ მასწავლებელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სწავლებისა და შეფასების დროს მასწავლებელი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რისთვისაც იყენებს შესაბამის მიდგომებს, კერძოდ: თანამშრომლობითი სწავლების გზით შეურჩევს მარტივ თემებს და მათთვის მისაღები ფორმით (კეთებით, ზეპირად) ახდენს ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით მოიწვიეს სპეციალისტი, თუმცა მისი გამოუცხადებლობის გამო ვერ შედგა სამუშაო შეხვედრა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები, რაც შესაბამისობაში იყო მოდულის სწავლის შედეგთან.

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრმებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების უწყისის წარმოების პროცედურებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების უწყისების წარმოების მიმდინარეობა. დაწესებულება ქმნის პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისებს, თუმცა არ აწარმოებს მათ აღრიცხვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

{თბილისი, 2019 წელი}

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას 2019 წლის 27 თებერვალს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სს „ლაზიკა კაპიტალთან“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ელექტროობა“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას:

- 2019 წლის 15 მარტს 6 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სს „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან“;
- 2019 წლის 14 თებერვალს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სს „ზუგდიდის მანქანათმშენებლობის ქარხანასთან“;
- 2019 წლის 31 იანვარს 6 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრთან“;
- 2019 წლის 30 იანვარს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრთან“;
- 2019 წლის 25 აპრილს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ი/მ [redacted]

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საოფისე საქმე“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას:

- 2015 წელს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ტერმინალთან“;
- 2018 წლის 30 აპრილს ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ქ. ზუგდიდის №5 საჯარო სკოლასთან;
- 2015 წელს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ქ. ზუგდიდის №1 საჯარო სკოლასთან;
- 2015 წელს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მერაბ კოსტავას სახელობის სსიპ ქ. ზუგდიდის №2 საჯარო სკოლასთან;
- 2015 წელს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთი №7 საჯარო სკოლასთან;
- 2015 წელს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპქ. სენაკის №1 საჯარო სკოლასთან;
- 2019 წლის 23 აპრილ 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან.
- 2019 წლის 21 თებერვალს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„დეკორატიული მებაღეობა“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________________

____________________

*{თბილისი, 2019 წელი}*

- 2019 წლის 24 იანვარს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან“

- 2019 წლის 24 იანვარს დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების ვადით გაფორმებული აქვს პროგრამის დუალურად განხორცილების თაობაზე ხელშეკრულება ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენრტრთან“. ხელშეკრულებაში დეტალურადაა გაწერილი მხარეთ უფლება-მოვალეობები და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის რეგულირების საკითხები. ხელშეკრულების თანახმად, სასწავლო საწარმო ერთჯერადად მიიღებს 10 პროფესიულ სტუდენტს. საწარმო იღებს ვალდებულებას გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორი, უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხო სამუშაო გარემო, განახორციელოს პროფესიული სტუდენტის სწავლება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობითა და მასალებით, შეაფასოს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები და ჩაერთოს კვლიფიკაციის მინიჭების პროცესში.

- 2019 წლის 30 იანვარს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრთან“;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„შედუღება“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას:

- 2019 წლის 30 იანვარს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრთან“;

- 2019 წლის 30 იანვარს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ი/მ [redacted]

- 2019 წლის 23 პრილს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „დაბლ ბი“;

- 2019 წლის 14 თებერვალს 5 წლის ვადით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სს „ზუგდიდის მანქანათმშენებლობის ქარხანასთან“.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება ხუთივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებთან. პროფესიული მასწავლებლები ძირითადად იცნობდნენ მოდულურის სწავლების მიდგომებს და ჩართულნი იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა პრაქტიკის ობიექტები და შემოწმდა სამუშაო პირობები. ობიექტებზე ნამდვილად არის შექმნილი ყველა პირობა პროფესიულ სტუდენტთათვის თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის. პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კომპანიებს აქვთ დაწესებულებასთან თანამშრომლობის კარგი გამოცდილება და არაერთი კურსდამთავრებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

უკვე ამ კომპანიის თანამშრომელია. დეკორატიული მებაღეობის ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გამოცდილება დაწესებულებას ჯერ არ აქვს, თუმცა ქ. ზუგდიდი დეკორატიული ბაღის წარმომადგენელებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ მათ სჭირდებათ კვალიფიციური კადრები და მზად არიან ჩაერთონ, როგორც სწავლების პროცესში, ისე უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა დასაქმება.

ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის შემდეგ ობიექტებზე:

**სენაკის ბაზაზე :**

- საოფისე საქმის" პროგრამის ფარგლებში - სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- ,,ელექტროობისა" და ,,დეკორატიული მებაღეობის" პროგრამების ფარგლებში ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი";

**ზუგდიდის ბაზაზე:**

- ,,შედუღების" პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის ,,მანქანათმშენებელი ქარხანა";
- ,,ელექტროობის" პროგრამის ფარგლებში ი.მ [redacted] (ტრანსფორმატორების შესაკეთებელი მინი საამქრო)
- ,,,დეკორატიული მებაღეობის" პროგრამის ფარგლებში (დუალური მიდგომით) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"

**<u>რეკომენდაცია:</u>**

1. სასურველია დაწესებულებაში უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დანართი იყოს ურთიერშესაბამისობაში. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მოდულების სასწავლო დატვირთვის ჯამური ოდენობა შესაბამისაობაშია სასწავლო გეგმაში მოცემული მოდულების საერთო დატვირთვასთან, სასურველია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ასევე შესაბამისობაში იყოს სასწავლო გეგმის ფორმაში განაწილებულ საათებთან.
2. სასურველია დაწესებულება აწარმოებდეს პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისების რეგისტრაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით);
- დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7 მარტის №10 დადგენილება პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;

- დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 აპრილის №17 დადგენილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების სახით დამტკიცების შესახებ;
- დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისი №41 დადგენილება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში შექმნილი დოკუმენტები: სამუშაო შეხვედრების ოქმები, ხარისხის მართვის სამსახურის დასკვნები, პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის თაობაზე წარდგინებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საოფისე საქმე“** ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ელექტროობა“;**
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„დეკორატიული მებაღეობა“;**
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„შედუღება“** ;
- სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები (ნამუშევრები), უწყისები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის შესახებ;
- პრაქტიკის გატარების შესახებ მიმოწერა;
- ინტერვიურება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც მოიცავს ინფორმაციას იმ პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის შესახებ, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს და ანონსის სახით მოცემულია დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, დაშვების წინაპირობების, დასაქმების შესაძლებლობების, კრედიტებისა და შეფასების წესის, სწავლების ფორმისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაძლებლობების შესახებ. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორგი ორგანიზაციების შესახებ. კატალოგი ილუსტრირებულია დარგის შესაბამისი ფოტო მასალითა და მასში აღნიშნულია წარმატებული კურსდამთავრებულების მიღწევები, რაც ამლევს სტიმულს პროფესიული სტუდენტებსა და დაინტერესებული პირებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი (2018);
- http://www.zssu.ge;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„დეკორატიული მებაღეობა“** სწავლის შედეგები შეესაბამება სსიპ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №628/ი ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №92/ი ბრძანებით) დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს).

დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„საოფისე საქმე“** , **„ელექტროობა“,„შედუღება“** სწავლის შედეგები შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656/ი ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვრის №80/ი ბრძანებით) დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს).

დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** სწავლის შედეგები შეესაბამება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656/ი ბრძანებით (ცვლილებები შეტანილია ცენტრის დირექტორის 2019 წლის 6 თებერვლის №110/ი ბრძანებით) დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საოფისე საქმე“** ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ელექტროობა“;**
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„დეკორატიული მებაღეობა“;**
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„შედუღება“** ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საოფისე საქმე“** ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ელექტროობა“**ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„დეკორატიული მებაღეობა“** ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„შედუღება“** ჩარჩო დოკუმენტი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

*{თბილისი, 2019 წელი}*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 თავი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესსა და პროცედურას. მათ შორის გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მექანიზმები. ხოლო, არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის ფორმები, უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პირობები. ამავე წესის მე-4 თავში განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის (შიდა, გარე), მიღებული განათლების აღიარების წესები, რაც შესაბამისობაშია მოქმედ კაონმდებლობასათან. მიღებული განათლების აღიარების შესახებ დასკვნას ამზადებს დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, რაც ფორმდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა აქტიური სტატუსის მქონე, სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და აღდგენილი სტატუსის მქონე, მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. დაწესებულება იცავს შიდა რეგულაციასა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში წარმოდგენილი იყო კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლები.

დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მათ ჰყავდათ უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების მქონე პროფესიული სტუდენტები და წარმოადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტები. დაწესებულებაში მოდულურ პროგრამებზე არ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

განხორციელებულა შიდა და გარე მობილობა.

დაწესებულება აწარმოებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემას და მასში ასახული იყო ყველა საჭირო ინფორმაცია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პრგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, არასრულწლოვანი, აღდგენილი და აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**);
- ინტერვიუ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლების უზრუნველყოფას, რომლის განხორციელების პროცედურა მოცემულია სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პრგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-16 მუხლით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

რის მიხედვითაც, პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს შესთავაზებს შიდა ან გარე მობილობას და უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები"** შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები გარე მობილობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას განუსაზღვრელი ვადით 2019 წლის 24 იანვარს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ საზოგადოებრი კოლეჯთან „ახალი ტალღა".

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საოფისე საქმე"** შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები გარე მობილობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას განუსაზღვრელი ვადით 2019 წლის 24 იანვარს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ საზოგადოებრი კოლეჯთან „ახალი ტალღა".

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ელექტროობა"** შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტების გარე მობილობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული აქვს მემორანდუმი:

- სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან"

- სსიპ პროფესიულ კოლეჯთან „ლაკადა"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„დეკორატიული მებაღეობა"** შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები გარე მობილობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას განუსაზღვრელი ვადით 2019 წლის 24 იანვარს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან".

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„შედუღება"** შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები გარე მობილობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას განუსაზღვრელი ვადით 2019 წლის 24 იანვარს გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ საზოგადოებრი კოლეჯთან „ახალი ტალღა".

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

საგანმანათლებლო პრგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

- სსიპ საზოგადოებრი კოლეჯთან „ახალი ტალღა“ განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული აქვს მემორანდუმი, №1, 24.01.2019;
- სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯთან“ განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული მემორანდუმი, №3, 29.01.2019;
- სსიპ პროფესიულ კოლეჯთან „ლაკადასთნ“განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული აქვს მემორანდუმი, №2, 24.01.2019.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი,“ რომლის მე-7 მუხლი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, განვითარებისა და შეჩერების/გაუქმების პროცედურას. ზემოაღნიშნული წესის მიხედვით, დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ახორციელებს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით. შეფასების მიზნით ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს შეფასების კრიტერიუმებსა და კითხვარებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარუდგენს დაწესებულების აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების/გაუმჯობესებიან ან

მოდიფიცირების შესახებ. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება აღსრულებისთვის გადაეცემა პროფესიული განათლების განვითარების სამსახურს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახური ხელმძღვანელობს სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ხარისხის მართვის სამსახურის დებულებით", რომელშიც აღწერილია სამსახურის ამოცანები და მისი თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები. პროფესიული განათლების შიდა ხარისხის უზრუნყოფის კოორდინირების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში გამოყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომელიც ასევე მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება PDCA პრინციპს. ექსპერტების მიერ ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ამ მექანიზმების ნაწილი დანერგვის პროცესშია. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლიდან ონლაინ რეჟიმში ტარდება სხვადასხვა ტიპის ანონიმური გამოკითხვა (მაგ: სასწავლო პროცესის შეფასება პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის მიერ, პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის კმაყოფილების კვლევა, პრაქტიკის შეფასება პროფესიული სტუდენტისა და საწარმოს ინსტრუქტორის მიერ), რომელთა შედეგების დამუშავება და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა ვერ ხერხდება გამოკითხვაში მონაწილე პირების დაბალი აქტიურობის გამო.

მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განვითარების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია მოდულური პროგრამების დანერგვისა და განხორციელების შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მოქმედებს „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განხორციელების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დებულების" შესაბამისად. დაწესებულების შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და წლის განმავლობაში ახორციელებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს, კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების კოორდინაციას, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ორანიზებას. რისთვისაც შეიმუშავებს შესაბამის რეკომედაციებს და წარუდგენს დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურს, რომელსაც დაწესებულება იყენებს საქმიანობის გაუმჯობესებისათვის,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______

______

კერძოდ: შიდა მხარდაჭერის ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე დაწესებულებაში გაუმჯობესდა სწავლის შედეგების დადასტურების მიდგომები, საგანმანათლებლო რესურსი).

__რეკომენდაცია:__

სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტთა და მასწავლებელთა ჩართვისა და მათგან უკუკავშირის მიღების მექანიზმები. მაგ: სამიზნე ჯგუფებში მოტივაციის ამაღლება, ფოკუს-ჯგუფების შექმნა, კითხვარების მოცულობის გადახედვა, და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ივლისის №41 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია/წესი“;
- წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ხარისხის მართვის სამსახურის დებულება“;
- წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განხორციელების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგის/შიდა მხარდაჭერის სამუშაო ჯგუფის გეგმა, ანგარიშები, ოქმები;
- ინტერვიუ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სასწავლო უნივერსიტეტს თანასაკუთრებაში/სარგებლობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება) ქ. ზუგდიდისა და ქ. სენაკის ბაზაზე.

სასწავლო ფართი ქ. ზუგდიდის ბაზაზე - ჯანაშიას ქ. №14, შეადგენს 1140,114 კვ.მ., სადაც განთავსებულია: სასწავლო კორპუსი - სულ 30 აუდიტორია, საერთო საცხოვრებელი, სასწავლო სახელოსნო, 2 საქვაბე, დაცვის ჯიხური. აქედან პროფესიული პროგრამების გასახორციელებლად გამოყოფილია -10 აუდიტორია, ფართით 578,114 კვმ სასწავლო სახელოსნო ფართით 562 კვმ. სულ 1140,114 კვმ.

სასწავლო ფართი ქ. სენაკის ბაზაზე შეადგენს 1106,4 კვმ, სადაც განთავსებულია სასწავლო კორპუსი - 19 აუდიტორია, მეცხოველეობის ახალი ფერმა, 540 კვ.მ. სათბური, 300 კვ.მ, საერთო საცხოვრებელი, 3 საგუშაგო ჯიხური და საქვაბე, სასათბურე მეურნეობები, მეცხოველეობის ფერმა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, სასილოსე, საღორე, სასიმინდე .

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ.№14 | 1140.114 კვ.მ. |
| 2 | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192 | 1106.4 კვ.მ. |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შენობა-ნაგებობების ოფიციალური აზომვითი ნახაზები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას გააჩნია თითოეული დასამატებელი პროგრამისთვის განხორციელებისათვის შემდეგი სასწავლო ფართი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები"**

**ქ. ზუგდიდის ბაზაზე:**

პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ინტეგრირებული აქვს A და B სასწავლო გარემო. აუდიტორიაში პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 24 სკამი, 24 მაგიდა და 24 კოპიუტერი; 1 კომპიუტერი, 1 სკამი და 1 მაგიდა პროფესიული მასწავლებლისათვის. სასწავლო გარემოში ხელმისაწვდომია კომბაინი, პროექტორი, დაფა. კომპიუტერებში ჩატვირთულია ელექტრონული სასწავლო პროგრამა - „სასწავლო სატესტო საბანკო პროგრამა". სასწავლო გარემო ნაწილობრივ აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიურებისას გაირკვა, რომ არ შედგა ტენდერი შემდეგი რესურსის შესაძენად: ტექსტური შტამპები, კალკულატორები, ლუპები, ფულის სათვლელი მანქანები. დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ტენდერი ზემოაღნიშნული ინვენტარის შესაძენად. იხილეთ დანართი №3

**ქ. სენაკის ბაზაზე:**

პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს A სასწავლო გარემო. აუდიტორიაში პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 20 სკამი და მაგიდა; 1 კომპიუტერი, 1 სკამი და მაგიდა პროფესიული მასწავლებლისათვის. სასწავლო გარემოში ხელმისაწვდომია პროექტორი. კომპიუტერებში ჩატვირთულია ელექტრონული სასწავლო პროგრამა - „სასწავლო სატესტო საბანკო პროგრამა". პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას აქვს B1 და B2 სასწავლო გარემო. აუდიტორიაში პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 20 სკამი და მაგიდა, რომელზეც განთავსებულია კომპიუტერი,სულ 20; 1 კომპიუტერი, 2 სკამი და მაგიდა პროფესიული მასწავლებლისათვის. სასწავლო გარემოში ხელმისაწვდომია პროექტორი, კომბაინი, დაფა. კომპიუტერებში ჩატვირთულია ელექტრონული სასწავლო პროგრამა - „სასწავლო სატესტო საბანკო პროგრამა". სასწავლო გარემო ნაწილობრივ აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიურებისას გაირკვა, რომ არ შედგა ტენდერი შემდეგი რესურსის შესაძენად: ტექსტური შტამპები, კალკულატორები, ლუპები, ფულის სათვლელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

მანქანები. დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ტენდერი ზემოაღნიშნული ინვენტარის შესაძენად. იხილეთ დანართი №3

საფინანსო სერვისების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 80 ადგილი, მათ შორის: 40 პროფესიული სტუდენტი ქ. ზუგდიდის ბაზაზე. 40 პროფესიული სტუდენტი ქ. სენაკის ბაზაზე.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საოფისე საქმე“**

**ქ. ზუგდიდის ბაზაზე:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების A სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 31 სკამი და მაგიდა, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 კომპიუტერი. აუდიტორიაში ხელმისაწვდომია პროექტორი და დაფა. B სასწავლო გარემო საერთო აქვს საფინანსო სერვისების პროგრამასთან, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი 24 სკამი და მაგიდა. თითოეულ მაგიდაზე განთავსებულია კოპიუტერი, სულ 24; პროფესიული მასწავლებლისათვის არის 1 კომპიუტერი, სკამი და მაგიდა. სასწავლო გარემოში ხელმისაწვდომია კომბაინი, პროექტორი, დაფა. ორივე სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

**ქ. სენაკის ბაზაზე:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების A სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 20 სკამი და მაგიდა, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 კომპიუტერი. აუდიტორიაში ხელმისაწვდომია პროექტორი და დაფა. B სასწავლო გარემო საერთო აქვს საფინანსო სერვისების პროგრამასთან, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი 20 სკამი და მაგიდა. თითოეულ მაგიდაზე განთავსებულია კოპიუტერი, სულ 20; პროფესიული მასწავლებლისათვის არის 1 კომპიუტერი, სკამი და მაგიდა. სასწავლო გარემოში ხელმისაწვდომია კომბაინი, პროექტორი, დაფა. ორივე სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 80 ადგილი, მათ შორის: 40 პროფესიული სტუდენტი ქ. ზუგდიდის ბაზაზე. 40 პროფესიული სტუდენტი ქ. სენაკის ბაზაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ელექტროობა“**

**ქ. ზუგდიდის ბაზაზე:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ინტეგრირებული აქვს A და C სასწავლო გარემო. სადაც პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 25 სკამი და მაგიდა, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 კომპიუტერი. აუდიტორიაში ხელმისაწვდომია პროექტორი და დაფა. სასწავლო გარემო ნაწილობრივ აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიურებისას გაირკვა, მიმდინარეობს ტენდერის გზით ინვენტარის შესყიდვის პროცედურები, თუმცა დასრულებული არ არის. იხილეთ დანართი №3.

**ქ. სენაკის ბაზაზე:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ინტეგრირებული აქვს A და C სასწავლო გარემო. სადაც პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 34 სკამი და მაგიდა, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 კომპიუტერი. აუდიტორიაში ხელმისაწვდომია პროექტორი და დაფა. სასწავლო გარემო ნაწილობრივ აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიურებისას გაირკვა, მიმდინარეობს ტენდერის გზით ინვენტარის შესყიდვის პროცედურები, თუმცა დასრულებული არ არის. იხილეთ დანართი №3.

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 60 ადგილი, მათ შორის: 30 პროფესიული სტუდენტი ქ. ზუგდიდის ბაზაზე. 30 პროფესიული სტუდენტი ქ. სენაკის ბაზაზე.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„დეკორატიული მებაღეობა“**

**ქ. ზუგდიდის ბაზაზე:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების A სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 30 სკამი და მაგიდა, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 კომპიუტერი. აუდიტორიაში ხელმისაწვდომია პროექტორი და დაფა. B სასწავლო გარემო საერთო აქვს საფინანსო სერვისების პროგრამასთან, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი 24 სკამი და მაგიდა. თითოეულ მაგიდაზე განთავსებულია კოპიუტერი, სულ 24; პროფესიული მასწავლებლისათვის არის 1 კომპიუტერი, სკამი და მაგიდა. სასწავლო გარემოში ხელმისაწვდომია

კომბაინი, პროექტორი. ორივე სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით. პროგრამა ხორციელდება დუალური სწავლების მიდგომით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სასწავლო საწარმოში არსებული მდგომარეობა და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა. ბოტანიკურ ბაღში მიმდინარეობდა აღდგენითი სამუშაოები და სასწავლო საწარმოს ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი. ინტერვიურებისას, სასწავლო საწარმოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინვენტარის გარეშე, ისედაც ვერ შეძლებს ბაღი ფუნქციონირებას და აწარმოებს მოლაპარაკებებსა და შესყიდვებს შესაბამის კომპანიებთან.

**ქ. სენაკის ბაზაზე:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულების A სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტებისათვის განთავსებულია 20 სკამი და მაგიდა, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი და 1 კომპიუტერი. აუდიტორიაში ხელმისაწვდომია პროექტორი და დაფა. B სასწავლო გარემო საერთო აქვს საფინანსო სერვისების პროგრამასთან, სადაც განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისათვის განკუთვნილი 20 სკამი და მაგიდა. თითოეულ მაგიდაზე განთავსებულია კოპიუტერი, სულ 20; პროფესიული მასწავლებლისათვის არის 1 კომპიუტერი, სკამი და მაგიდა. სასწავლო გარემოში ხელმისაწვდომია კომბაინი, პროექტორი. C სასწავლო გარემოს წარმოადგენს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული ბაღი. დაწესებულებას სამივე სასწავლო გარემოში (A, B, C) გააჩნია პროგრამის მოდულური სწავლების მიდგომით განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

დეკორატიული მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 50 ადგილი, მათ შორის: 20 პროფესიული სტუდენტი ქ. ზუგდიდის ბაზაზე. 30 პროფესიული სტუდენტი ქ. სენაკის ბაზაზე. დეკორატიული მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ზუგდიდის ბაზაზე განხორციელდება დუალური სწავლების მიდგომით, ხოლო ქ. სენაკის ბაზაზე - მოდულური მიდგომით.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„შედუღება“**

**ქ. ზუგდიდის ბაზაზე:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს სასწავლო სახელოსნო, სადაც ინტეგრირებულია A და C სასწავლო გარემო. A სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტებისათვის გათავსებულია 10 ადგილიანი მაგიდა და სკამი. არის პროფესიული მასწავლებლისთვის 1 კომპიუტერი, მაგიდა და სკამი. სასწავლო გრემოში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

{თბილისი, 2019 წელი}

გათნავსებულია პროექტორი და დაფა. სასწავლო სახელოსნოში გათანვსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.

შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილი აქვს 20 ადგილი.

,,სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა /პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით" რეგულირდება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესი, მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხარისხიანი უმაღლესი და პროფესიული განათლების მიცემას.

სასწავლო უნივერსიტეტში მისაღები პროფესიული სტუდენტის კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრა ხდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ხანგრძლივობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათ შორის: სტანდარტების შესაბამისად, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, პრაქტიკის ობიექტის, მასწავლებლების/ინსტრუქტორების რაოდენობის შესაბამისად და შეადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები ზღვრული რაოდენობების ჯამს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ენ-ჯი-ეს გრუპი" გაფორმებული ხელშეკრულება „სასწავლო სატესტო საბანკო პროგრამა" შესყიდვაზე; 05.04.2019, №22;
- ინვენტარის ფლობის დოკუმენტები;
- დანართი №3, დაწესებულების მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

**<u>ხარვეზი:</u>**

1. დაწესებულების სასწავლო ფართი ქ. ზუგდიდასა და ქ. სენაკში არ არის სრულად აღჭურვილი **საფინანსო სერვისების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის. იხ. დანართი №3
2. დაწესებულების სასწავლო ფართი ქ. ზუგდიდასა და ქ. სენაკში არ არის სრულად აღჭურვილი **ელექტროობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის. იხ. დანართი №3
3. დაწესებულების სასწავლო ფართი ქ. ზუგდიდში, სასწავლო საწარმო არ არის სრულად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ____________________

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ____________________

____________________

აღჭურვილი **დეკორატიული მებაღეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისათვის. იხ. დანართი №3

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
■ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში, როგორც ქ. ზუგდიდის, ქ. სენაკის ბაზაზე არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. დაწესებულება არის სს „ენერგო - პრო-ჯორჯიას“ აბონენტი და იხდის ყოველთვიურ გადასახადს.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტი არის შპს „სოკარ ჯორჯიას“ აბონენტი და იხდის ყოველთვიურ გადასახადს.

დაწესეულებაში არსებობს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სველი წერტილები, რომელიც გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. დაწესებულებას აქვს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სანიტრული კვანძები, სასწავლო კორპუსებსა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში (ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, №17, სენაკი, მშვიდობის ქ. №192) სრულად არის დაცული სანიტარული ჰიგიენის ნორმები. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ხელსაბანებით, აღჭურვილია სათანადო ჰიგიენური საშუალებებით. ფუნქციონირებს გამართული ვენტილაციის სისტემა. ეზოები კეთილმოწყობილია, ტერიტორიებზე (ზუგდიდი, სენაკი) განთავსებულია დრენაჟის ეფექტიანი სისტემა. სასწავლო კორპუსები მოწყობილია ისე, რომ იძლევა მის სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნების, დასუფთავებისა და დეზინფექციის საშუალებას. სასწავლო კორპუსები მარაგდება სასმელი წყლით, რომელიც სპეციალური ბიდონებით ქულერების საშუალებით მიეწოდება სტუდენტებს და პერსონალს. სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია უწყვეტი წყალმომარაგების სისტემა, სრულად რეაბილიტებული საკანალიზაციო სისტემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში ბიბლიოთეკის ფუნქციონირება რეგულირდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულებით“. ბიბლიოთეკა (ქ. ზუდიდი, ქ. სენაკი) აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. ქ. ზუგდიდის ბაზაზე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია 20 კომპიუტერი, 20 მაგიდა და სკამი, ბიბლიოთეკის უფროსისა და სპეციალისტებისათვის 3 კომპიუტერი, 3 სამუშაო მაგიდა და სკამი. წიგნების საცავში განთავსებულია ქსეროქსის აპარატი, კომბაინი და ერთი კომპიუტერი. ქ. სენაკის ბაზაზე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია 8 კომპიუტერი, 14 მაგიდა და სკამი, ბიბლიოთეკარისთვის კომპიუტერი, სამუშაო მაგიდა და სკამი. ბიბლიოთეკაში საგანმანათლებლო რესურსი მუშავდება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. დაწესებულება აწარმოებს ელექტრონულ და მატერიარულ კატალოგებს, მკითხველთა ბარათებს. საგანმანათლებლო რესურსი რეგისტრირებულია ინტერირებული საბიბლიოთეკო სისტემაში - Open Biblio.

ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკას ემსახურება კვალიფიციური ბიბლიოთეკარი და სპეციალისტები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - **„საფინანსო სერვისები“, „საოფისე საქმე“, „შედუღება“, „ელექტროობა“, „დეკორატიული მებაღეობა“** მოდულებში არსებული საგანმანათლებლო რესურსი, რაც დაწესებულაში სრულად იყო ხელმისაწვდობი და დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩაწერილია CD დისკებზე, რომელიც დანომრილი და რეგისტრირებულია საინვენტარო წიგნში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

--------------------

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკის დებულება“;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- საგანმანათლებლო რესურსის საინვენტარო წიგნები;
- მკითხველთა ბარათები;
- წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობს დამტკიცებული ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დებულებითა“ და ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესით“, ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის წესითა“ და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმით.

დაწესებულებაში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა;

დაწესებულების ბალანსზე ირიცხება, დესკტოპ კომპიუტერები, პორტატული კომპიუტერები, მულტიფუნქციური და მონოფუნქციური პრინტერები, პროექტორები და ინტერაქტიული დაფები.

ქ. ზუგდიდის ბაზაზე კომპიუტერების რაოდენობა შეადგენს 328 ერთეულს, ხოლო ლეპტოპების რაოდენობა 72 ერთეულია. ინტერაქტიული დაფა - 6 ერთეული. პროექტორი - 10 ერთეული. მონოფუნქციური პრინტერების რაოდენობა (მათ შორის 6 ფერადი პრინტერი) 46 ერთეული. პრინტერები და პროექტორები განაწილებულია ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ლაბორატორიებში. კერძოდ: პერსონალური 328 კომპიუტერიდან 63 კომპიუტერი

განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის, 265 კი სტუდენტებისთვის; 72 ლეპტოპიდან 45 განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის, 27 კი სტუდენტებისთვის; მულტიფუნქციური პრინტერებიდან (სულ 46) B გარემოს გათვალისწინებით 6 არის აუდიტორიებში განთავსებული სასწავლო პროცესისთვის.

ქ. სენაკის ბაზაზე ლაბორატორია 207 - 21 ერთეული დესკტოპ კომპიუტერი (2 ბირთვიანი და 2 ნაკადიანი პროცესორით, 500 GB მყარი დისკით, 4 GB ოპერატიულით). ლაბორატორია 208 – 21 ერთეული დესკტოპ კომპიუტერი ( მათ შორის 10 -2 ბირთვიანი და 2 ნაკადიანი პროცესორით, 500 GB მყარი დისკით, 4 GB ოპერატიულით, ხოლო 11 სამომხმარებლო დონის დესკტოპ კომპიუტერი). ლაბორატორია 209 – 21 ერთეული დესკტოპ კომპიუტერი (2 ბირთვიანი და 2 ნაკადიანი პროცესორით, 500 GB მყარი დისკით, 4 GB ოპერატიულით). საერთო ჯამში დესკტოპ კომპიუტერების რაოდენობა არის 66 ერთეული, ლეპტოპების რაოდენობა არის 37 ერთეული, პრინტერებისა და პროექტორების რაოდენობა 7 ერთეული. კერძოდ: პერსონალური 66 კომპიუტერიდან 3 კომპიუტერი განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის, 63 კი სტუდენტებისთვის; 37 ლეპტოპიდან 11 განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის, 26 კი სტუდენტებისთვის; მულტიფუნქციური პრინტერებიდან (სულ 7) B გარემოს გათვალისწინებით 3 არის აუდიტორიებში განთავსებული სასწავლო პროცესისთვის.

დაწესებულების სართულებზე დამონტაჟებულია ქსელური მოწყობილობები, საიდანაც სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სართულზე ვრცელდება სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირი და ხელმისაწვდომია, როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე პერსონალისთვის.

დაწესებულების მართვის პროცესში გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი. სასწავლო უნივერსიტეტი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

ვებგვერდი დომენური სახელით - „http://www.zssu.ge/" წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ვებგვერდი http://www.zssu.ge/;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიურება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში საქმისწარმოება რეგულირდება წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №18 დადგენილებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესებით", რომელიც შემუშავებულია საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების შესაბამისად და არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: დაწესებულების საქმიანობის დოკუმენტირება, საჯარო ინფორმაციის გაცემა, დოკუმენტების მომზადება, დოკუმენტების რეკვიზიტების გაფორმების წესი, საქმეთა ფორმირება, დოკუმენტების დაჯგუფება და მათთან მუშაობის ორგანიზაცია, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენის წესი, საფინანსო დოკუმენტები და მათთან მუშაობის წესი, მივლინების დოკუმენტები და ორგანიზაცია, შემოსაული და გასული კორესპოდენციის ორგანიზება, დოკუმენტების შესრულების ვადები, საარქივო საქმისწარმოება, ბეჭდებისა და შტამპების გამოყენება, საქმეთა ნომენკლატურის შედგენა.

დაწესებულებაში საქმისწარმოების სამსახურს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარია, რომელსაც ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი. დაწესებულება ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (e-flow.emis.ge).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა ფაქტობრივი მდგომარეობა. დაწესებულება იცავს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №18 დადგენილებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესები";
- საქმისწარმოების წესით დამუშავებული დოკუმენტები;
- დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალები;
- e-flow.emis.ge.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები დარეგულირებულია სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №18 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციით." თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმები, განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებზე. შენობის ყველა სართულზე, განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ექსპლუატაციისთვის ვარგისი ცეცხლმაქრები.

სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურას დაწესებულებაში არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ექიმის დებულება". დაწესებულებაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია ექიმი. არსებობს ექიმის კაბინეტი, როგორც ქ. ზუგდიდის, ისე ქ. სენაკის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო რესურსითა და აღჭურვილობით.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები დარეგულირებულია სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით". წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას 2018 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული აქვს №185 ხელშეკრულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოსთან. ხელშეკრულების თანახმად, დაწესებულების ორივე ბაზა (ქ. სენაკი, ქ. ზუგდიდი) დაცულია 24 საათის განმავლობაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------------

--------------------------

*{თბილისი, 2019 წელი}*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №18 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია“;
- ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმა;
- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ექიმის დებულება“;
- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოსთან 2018 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული №185 ხელშეკრულება;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას, როგორც ქ. ზუგდიდი, ისე ქ. სენაკის ბაზაზე აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის/პროფესიული სტუდენტებისათვის. შენობის ეზოდან შესაძლებელია პანდუსით სარგებლობა. შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც შესაძლებელია სსსმ პირთა გადაადგილება. სსსმ პირებისათვის ადაპტირებულია სველი წერტილები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალური გადასახადის გადახდის ქვითრები;
- ვიზუალური დათვალიერება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შპს „კავკაზუს ონლაინთან“ 2018 წლის 12 თებერვალს გაფორმებული აქვს №18 ხელშეკრულება GE დომენური სახელის სარგებლობის შესახებ.

დაწესებულების ვებ-გვერდია http://www.zssu.ge/, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: სიახლეები, მისია და ხედვა, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, დაწესებულების განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვა. დაწესებულებას აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდიც.

დაწესებულებას ვებგვერდზე ცალკე აქვს გამოყოფილი რუბრიკა „პროფესიული განათლება“, სადაც მოცემულია დეტალური ინფორმაცია, როგორც ქ. ზუგდიდის ბაზაზე, ისე ქ. სენაკის ბაზაზე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თავისებურებების შესახებ. ამავე რუბრიკაში მოცემულია შიდა მარეგულირებელი აქტები, პროფესიულ სტუდენტთა გზამკვლევები, პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების სტანდარტები, ქ. ზუგდიდის ბაზა, ქ. სენაკის ბაზა. დაწესებულების მიერ ვებგვერდზე განთავსებულ სიახლეებში მოცემულია ინფორმაცია, როგორც ქ. ზუგდიდის, ისე ქ. სენაკის ბაზაზე მიმდინარე პროცესებისა და მიღწევების შესახებ.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია

ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ვებ-გვერდი http://www.zssu.ge/;
- ინტერნეტ-მომსახურეობის გაწევის შესახებ კომპანიასთან - შპს „ახალი ქსელები" 2018 წლის 31 დეკემბრერს გაფორმებული №187 ხელშეკრულება;
- შპს „კავკაზუს ონლაინთან" 2018 წლის 12 თებერვალს გაფორმებული №18 ხელშეკრულება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დებულება
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესი;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების სტრატეგიული (2018-2024) და ერთწლიანი (2019) სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს როგორც აკადემიური, ისე პროფესიული მიმართულებით მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. წლიურ გეგმაში მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნებისათვის დაგეგმილი აქტივობები. სამოქმედო გეგმებში მოცემულია კონკრეტული აქტივობების აღწერა. მასში გაწერილია: სტრატეგიული ამოცანები, დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები და შესრულების ინდიკატორები.

დაწესებულება ადგენს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს, რაც განთავსებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

დაწესებულების ვებგვერდზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2018-2024 სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2017 და 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 3. ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და თანამდებობის დაკავების წესი გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესში. თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებულია დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე პერსონალისა და ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

- პერსონალის პირად საქმეებში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შინაგაწესი;
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „დამხმარე პერსონალისა და ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საოფისე საქმე**
**ქ. ზუგდიდის ბაზა:**
**საოფისე საქმის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 13 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 40 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 40/13 შეადგენს 3.1-ს.
**ქ. სენაკის ბაზა:**
**საოფისე საქმის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 15 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 40



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ___________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ___________________
___________________

პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 40/15 შეადგენს 2.66-ს.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საფინანსო სერვისები</u>

<u>ქ. ზუგდიდის ბაზა:</u>

**საფინანსო სერვისების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 11 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 40 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 40/11 შეადგენს 3.63-ს.

<u>ქ. სენაკის ბაზა:</u>

**საფინანსო სერვისების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 11 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 40 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 40/11 შეადგენს 3.63-ს.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა</u>

<u>ქ. ზუგდიდის ბაზა:</u>

**ელექტროობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 11 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/11 შეადგენს 2.72-ს.

<u>ქ. სენაკის ბაზა:</u>

**ელექტროობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 9 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/9 შეადგენს 3.33-ს.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - შედუღება</u>

<u>ქ. ზუგდიდის ბაზა:</u>

**შედუღების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 9 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **საოფისე საქმის**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 20 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 20/9 შეადგენს 2.22-ს.

<u>**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - დეკორატიული მებაღეობა**</u>

<u>**ქ. ზუგდიდის ბაზა:**</u>

**დეკორატიული მებაღეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 12 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **დეკორატიული მებაღეობის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 20 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 20/12 შეადგენს 1.6-ს. პროგრამის დუალურად განხორციელებისათვის, სასწავლო საწარმოს მიერ 10 პროფესიული სტუდენტის სწავლებისათვის გამოყოფილია ორი პირი, რომელთა კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და მოთხოვნებთან.

<u>**ქ. სენაკის ბაზა:**</u>

**დეკორატიული მებაღეობის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 10 მასწავლებელი. დაწესებულების მიერ **დეკორატიული მებაღეობის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. ზუგდიდის ბაზაზე მოთხოვნილია 30 პროფესიული სტუდენტი. მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანაფარდობა 30/10 შეადგენს 3-ს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემა (**evet.emis.ge**).

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლისა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის (სპეციალისტის) მასწავლებლის (სპეციალისტის) საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“ არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესსა და ანაზღაურების ოდენობას. რის მიხედვითაც, პროფესიული განათლების მასწავლებელი სამსახურში მიიღება გასაუბრების გზით. პერსონალის მოწვევა ფორმდება რექტორის მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლისა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის (სპეციალისტის) მასწავლებლის (სპეციალისტის) საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“;
- ინტერვიუ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური/დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის /საგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საოფისე საქმე (მოდულური) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415 | 67 | 97 | ქართული | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 | 0 | 40 |
| | | | | | | ქართული | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192 | 0 | 40 |
| 2 | დეკორატიული მებაღეობა (დუალური, მოდულური) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში 0812 | 85 | 115 | ქართული | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 | 0 | 20 |
| | | | | | | | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192 | 0 | 30 |
| 3 | საფინანსო სერვისები (მოდულური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 0412 | 55 | 70 | ქართული | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 | 0 | 40 |
| | | | | | | ქართული | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192 | 0 | 40 |
| 4 | შედუღება (მოდულური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715 | 45 | 60 | ქართული | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 | 0 | 20 |
| 5 | ელექტროობა (მოდულური) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713 | 52 | 67 | ქართული | ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14 | 0 | 30 |
| | | | | | | ქართული | ქ. სენაკი, მშვიდობის ქ.№192 | 0 | 30 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------6----------------

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი №1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი №2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 აპრილის №17 დადგენილება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ელ. ვერსია;

დანართი №3. დაწესებულების მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია.

16.05.2019

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

{თბილისი, 2019 წელი}